



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი

18. 03. 2020 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მდივანი კახაბერ ასკურავა (საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია, მედიის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი მამუკა ვადაჭკორია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების-ვერა გაბელაიას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ლევან ჩხაიძე/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი მაგული კუნჭულია/

7. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 27 მარტი, 11:00 საათი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან განმარტა, რომ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, „შიდა

აუდიტორს უფლება არა აქვს, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა ამ კანონით და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფუნქციებისა“; „შიდა აუდიტორი არ მონაწილეობს შიდა აუდიტორულ შემოწმებაში, თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, კერძოდ, შიდა აუდიტორი შესამოწმებელ პერიოდში მუშაობდა შიდა აუდიტის ობიექტში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, იმისთვის რომ არ დაირღვეს სამსახურის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპი, მიზანშეწონილია „მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის“ და „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის მიზნით შესაქმნელი კომისიების შემადგენლობიდან ამოღებული იქნას მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების - ვერა გაბელაიას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 3 ივნისის N4305 განცხადებით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირმა - ვერა გაბელაიამ, რომელმაც აღნიშნულ განცხადებაში მის მიერ მოყვანილი მოტივების საფუძველზე, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა (ს/კ 233730139) და ვერა გაბელაიას (პ/ნ 26001007997) შორის 2017 წლის 13 აპრილს გაფორმებული N1 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, რომლის ოდენობა შეადგენს 1845 (ათას რვაას ორმოცდახუთი) ლარს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხი, რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებულ პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების - ვერა გაბელაიას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ზესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური ზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (შუხუთი, შენობა-ნაგებობა-ს/კ 27.05.44.009); (ქ.ლანჩხუთი, კვირკველიას ქუჩაზე მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-ს/კ 27.06.51.323); ((ქ.ლანჩხუთი, ჟორდანias ქუჩის მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-ს/კ 27.06.51.334) და ((ქ.ლანჩხუთი, ჟორდანias ქუჩის მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-ს/კ 27.06.51.333) საკადასტრო კოდებზე არსებული უძრავი ქონება განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ**. მან განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახილველად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაძე**. მან აღნიშნა, რომ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1800000 ლარი, რომელიც მიიმართა 2019 წლის დაწყებული პროექტების დასასრულებლად, კერძოდ, ხიდების რეაბილიტაციაზე 1462502 ლარი და ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობაზე 337498 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სკოლების რეაბილიტაციაზე 520000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოეყო 748000 ლარი.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მომართვის საფუძველზე გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, რეგიონული ადგილობრივი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო გრანტი 309890 ლარი და აღნიშნული გრანტით დაფინანსდება ორი პროექტი. აქედან, ტურისტული მარშუტების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისათვის 67040 ლარი, მათ შორის, გრანტით ფინანსდება 59890 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება შეადგენს 7150 ლარს, გრიგოლეთის განაშენიანების გეგმის შემუშავებისათვის 250000 ლარი.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების წერილის საფუძველზე შემცირდეს საქონელი და მომსახურების ხარჯი 500 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 500 ლარით. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 08) სოცუზრუნველყოფის მუხლის 693 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ამავე პროგრამის ტრანსპორტის ხარჯი 693 ლარით.

გარდა ამისა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაძე** აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილება ასევე განხორციელდება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ:

მერიის ადმინისტრაციული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და სანიტარული კვანძის აღდგენის სამუშაოები-(45432) 43432 ლარი;

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სანიტარული კვანძის აღდგენა-11295 ლარი;

ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში (ხანძრის შედეგად დაზიანებული) შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 10093 ლარი;

შინმოუსვლელთა მემორიალი-18170 ლარი;

ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით (4 ცალი) სამფაზა მრიცხველის დამონტაჟება-4800 ლარი (სოფ: ხორეთი, გულიანი, შრომისუბანი და სუფსა) და სოფ. ეწერში არსებული ამბულატორიის ქსელში ჩართვისთვის (მრიცხველი)-400 ლარი;

საფეხბურთო აკადემიის ელექტროენერჯის ქსელში ჩართვის სამუშაოები -12000 ლარი და გაზის ქსელში ჩართვისთვის 5000 ლარი, სულ 17000 ლარი;

შპს ქალთა საფეხბურთო კლუბის ლანჩხუთის ოფისის და სანიტარული კვანძის რეაბილიტაცია-33600 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერსა და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, რომ დაევალოს მერიას უზრუნველყოს საკრებულოსთვის ფოტოაპარატის შეძენა 4000 ლარის ფარგლებში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მარტის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა **მაგული კუნჭულიამ**. მან აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის

კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“, ასევე მერიისა და მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული აქტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შემადგენლობაში შედის როგორც ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური, ასევე მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება, საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილება, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება და მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში (სულ 16). ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურში დასაქმებულია 58 თანამშრომელი. წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში მათ მიერ გაწეულ მუშაობის შედეგები: ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მიერ გატარებული იქნა 2163 ბრძანება, დადგენილება 3; სამსახურმა 2019 წელს უზრუნველყო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, გაუწია სხვადასხვა სახის კონსულტაციები. მერის მიერ გამოცემული ბრძანების დელეგირების თაობაზე ადმინისტრაციული სამსახურის მიერ შესაბამისად მზადდებოდა სხვადასხვა სახის წერილები და კორესპოდენციები. საკრებულოდან შემოსულ დოკუმენტებსა და საკრებულოს დეპუტატების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე ადრესატამდე მიტანას კონტროლს უწევდა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური. რეგისტრაციაში გაატარა მუნიციპალიტეტში შექმნილი „ამხანაგობები“, ასევე შექმნა დოკუმენტაცია საინიციატივო ჯგუფთან დაკავშირებით, შეაგროვა სათანადო ინფორმაცია ლანჩხუთის საპატიო მოქალაქედ ასაღიარებლად დამსახურებულ ადამიანებზე და წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერს. მომართვიანობის შესაბამისად მერს წარუდგინა მივლინებაში წარსაგზავნი მოხელეების კანდიდატურები და მივლინების ბლანკები, მერის თანხმობის შესაბამისად. ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. ასევე, ხელმძღვანელობდა ადმინისტრაციული შენობის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც სტუმრებისათვის, ასევე შიდა ღონისძიებებისათვის. სამსახური ხელმძღვანელობას უწევდა მოქალაქეთა მიღებას მუნიციპალიტეტის მერთან. 2019 წლის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილებაში შემოვიდა : მერიაში-7665 კორესპოდენცია და მოქალაქის განცხადება.

შემოსული განცხადებები, ძირითადად ეხებოდა მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი შეჭირვებულ ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას, მოსახლეობის საოპერაციო თანხების დაფინანსებას, ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფას, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გაწევას, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გარდაცვლილი მეომრების ოჯახების დახმარებას, მოსახლეობის მედიკამენტების შეძენაში დახმარებას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გარდაცვლილი მეომრების ოჯახებისათვის სარიტუალო თანხის გაცემას, საცხოვრებელ სახლებსა და მისთვის საჭირო სამშენებლო მასალების შეძენას და სხვა საკითხებს.

ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ კორესპოდენციებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე შესაბამისი სამსახურების მიერ დროულად გაიცა პასუხები.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია - 30 წერილი, რომელსაც კანონით დადგენილ ვადებში გაეცა პასუხები.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის კადრების მართვის განყოფილებამ 2019 წელს მერიის საშტატო ნუსხა განსაზღვრა 125 საშტატო ერთეულით. ადმინისტრაციულ ერთეულებში 41 პირია დასაქმებული : მერიის წარმომადგენელი -16, სპეციალისტი - 25. მერიის სამსახურებში დასაქმებულია 83 პროფესიული საჯარო მოხელე.

ვაკანტურია ადმინისტრაციული სამსახურის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია.

2019 წლის ოქტომბრის მონაცემებით მუნიციპალიტეტს დასაქმების თაობაზე განცხადებით მიმართა 20 მოქალაქემ.

2019 წლის განმავლობაში გამოცხადდა 5 კონკურსი, მათ შორის, 4 ღია კონკურსი და 1 დახურული. განყოფილებამ უზრუნველყო შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, გაფორმება და გამოქვეყნება.

მუნიციპალიტეტის მერიაში ხელშეკრულებით დასაქმებულია 19 საჯარო მოსამსახურე. გაფორმდა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.

2019 წელს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ ორგანიზება გაუკეთა შიდა ტრენინგს, რომლის დროსაც მერიის მენეჯერული რგოლი კიდევ ერთხელ გაეცნო შეფასების წესს და ის დეტალურად განიხილა. შეფასება განხორციელდა გამოსაცდელი ვადით მიღებულ მოხელეებთან.

2019 წელს განყოფილების მიერ მომზადდა და გაფორმდა 67 არარეგისტრირებული ხელშეკრულება. მაგთიკომის ქსელში ჩართო და განხორციელდა მომსახურება საკრებულოსა და მერიის საჯარო მოხელეებისათვის.

2019 წელს მომზადდა წერილები, მიმდინარე ბრძანებები, დამუშავდა სტატისტიკური მონაცემები.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ 2019 წელს გაშუქდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, როგორც ინფრასტრუქტურულ საკითხებზე, ასევე სოციალურ თემებზე.

სოციალურ ქსელ ფეისბუქ-, „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერია“ ყოველდღიურად ეცნობა 20 ათასზე მეტი მომხმარებელი. გვერდს აქვს ყოველდღიური გამოხმაურება, მოწონება. 2019 წელს ხსენებული გვერდის სტუმრები იყვნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქების მაცხოვრებლები, ასევე, გვერდს ესტუმრნენ და ინფორმაციებს გაეცნენ შემდეგი ქვეყნებიდან: საბერძნეთი, იტალია, რუსეთი, ბანგლადეში, გერმანია, ბრაზილია, ისრაელი, საფრანგეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, უკრაინა, ფიჯი, ბელგია, ავღანეთი და ა.შ.

განყოფილების მუშაობის შედეგად სოციალური ქსელის მომხმარებელი გაეცნო ინფორმაციებს ინფრასტრუქტურულ თემებზე (საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა, ჭადრაკის სახლის მშენებლობა, წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა, შავი საფარის დაგება გზებზე, ასევე, გზებზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა, ბუნებრივი აირის გაყვანის სამუშაოები სოფლებში: აცანა, მამათი, ლესა, ჩიბათი, ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები და ა.შ.); გაშუქდა ინფორმაციები სოციალურ თემებზე

(შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება სხვადასხვა პროგრამით). საერთო ჯამში, განყოფილებამ სოციალური ქსელის მეშვეობით საჯარო გახადა 1000-ზე ინფორმაცია.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს აქვს განახლებული ოფიციალური ვებგვერდი: LANCHKHUTI.GOV.GE სადაც პროაქტიურად ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია. ასევე, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა აქტივობა. ამას გარდა, ვებგვერდი შექმნილია მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნითაც. მოქალაქეებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა პროექტებში, შეიმუშავონ და გამოაგზავნონ პეტიციები, დაუკავშირდნენ მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს ელექტრონულ ფოსტებზე (რომელიც აღნიშნულ ვებ.გვერდზეა მითითებული) და გამოაგზავნონ მათთვის საინტერესო და საჭირობოროტო თემებზე განცხადებები. მიიღონ ინფორმაციები მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებზე, გაეცნონ საკრებულოს და სამოქალაქო კრებების ოქმებს, მრჩველთა საბჭოს სხდომების მიმდინარეობებს, ასევე გაეცნონ გენდერული საბჭოს შესახებ ინფორმაციებს და ა.შ.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების მიერ, 2019 წლის 12 თვის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები : შესყიდვების განყოფილების მიერ, 2019 წლის 12 თვის განმავლობაში, გაფორმებული იქნა 330 ხელშეკრულება სხვადასხვა სახის მომსახურების, ინფრასტრუქტურული სამუშაოების და ინვენტარის (საქონლის) შესაძენად. 2019 წლის ოთხი კვარტლის განმავლობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წლიურმა გეგმამ შიადგინა 10 471 798 (ათი მილიონ ოთხასსამოცდათერთმეტიათას შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი. საიდანაც ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულმა ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 1 834 441 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 8 637 356 ლარს. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 595 025 ლარი შემდეგი სამუშაოების განსახორციელებლად: 1. ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეგნატე ნინოშვილის სახლმუზეუმთან მისასვლელი გზის აღდგენა - 295 602 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 2. გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია - 1 101 329 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 3. ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების შეკეთება - 110 268.5 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 4. ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 887 755 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 5. მამათის, ჩიბათის, მაჩხვარეთის, აკეთის, აცანის, შუხუთის, ღრმაღელის, გვიმბალაურის, ჩოჩხათის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინა-ბეტონის არხების, რკინა-ბეტონის და ასფალტო-ბეტონის მოწყობა - აღნიშნული სამუშაო დაკონტრაქტებული არის 5 ხელშეკრულებად - საერთო ღირებულება შეადგენს - 917 438 ლარს. სამუშაოები დასრულებულია. 6. ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ეზოს ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა - 1022599 - ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 7. ქ. ლანჩხუთში ჟორდანის ქუჩის მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაცია -147483 - ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 8. ქ. ლანჩხუთში თავისუფლებისა და ჭანტურიას ქუჩის კვეთაზე სტადიონის რეაბილიტაცია - -102130 - ლარი, სამუშაოები დასრულებულია.

ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 185 299 ლარი შემდეგი სამუშაოების

განსახორციელებლად: 1. აცანის, აკეთის, შუხუთის და ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში საექიმო ამბულატორიების რეაბილიტაციისთვის - 92 041 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 2. სუფსის საექიმო ამბულატორიის მშენებლობისთვის - 93 258 ლარი. სამუშაოები დასრულებულია. სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2019 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 536 993 ლარი ქალაქ ლანჩხუთში მარჯანიშვილის, გოგიჩაიშვილის და ურუშაძის ქუჩებზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოსაწყობად, სამუშაოები დასრულებულია. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე 2019 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 500 000 ლარი, აღნიშნული სამუშაოები დაკონტრაქტებული არის 2 ხელშეკრულებად: 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: ნინოშვილის, ჩოჩხათის, სუფსის, ღრმაღელის, ჯურუყვეთის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრების მოწყობა. - 735999.33 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: ქალაქის, მაჩხვარეთის, შუხუთის, ნიგოთის, ჩიბათის, აცანის და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრების მოწყობა. - 734998.2 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.

ასევე, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე 2019 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გარდამავალი პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 500 000 ლარი. ხოლო 2020 წელს დანარჩენი თანხა, რაც საჭირო არის სამუშაოების დასრულებისთვის. აღნიშნული სამუშაოები დაკონტრაქტებული არის 2 ხელშეკრულებად: 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: ქალაქის, მაჩხვარეთის, შუხუთის, ჩიბათის, ნინოშვილის, ჩოჩხათის, ღრმაღელის, აცანის, ლესის, ჯურუყვეთის და ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულებში ნაპირსამაგრების მოწყობა- 47 743.16 ლარი, სამუშაოები მიმდინარეობს. 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის, ნიგვზიანის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიით დაზიანებული ხიდების აღდგენის სამუშაოები- 1 948 776 ლარი, სამუშაოები მიმდინარეობს.

საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2019 წელს გამოეყო 520 000 ლარი: 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქ. ლანჩხუთის N1 და ჯურუყვეთის N1 საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა-136219.35 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსის საჯარო სკოლის დაწყებით კორპუსსა და მთავარ კორპუსზე სველი წერტილების მიშენება - 111000 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაბანათის, სოფ. ჩოლობარგის და სოფ. ხიდმადალას საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა. - 138892.3 ლარი სამუშაოები დასრულებულია. 4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში N1 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები- 89966.61 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2019 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი, სამუშაოები დაკონტრაქტებული არის 68 ხელშეკრულებად და ყველა სამუშაო დასრულებულია, გამოყოფილი თანხის 99 % ათვისებულია.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის გამო საბავშვო ბაღების ფუნქციონირება გადაიდო გაურკვეველი ვადით. აქედან გამომდინარე, მან წინადადებით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ აღსაზრდელების მშობლებს გადაეცეთ ბავშვების კვების ვაუჩერები, სადაც ჩამოთვლილი იქნება კონკრეტული პროდუქტის დასახელება. მუნიციპალიტეტმა კი ხელშეკრულება უნდა გააფორმოს ისეთ მაღაზიასთან, რომელშიც სასურსათო პროდუქტთან ერთად გაყიდვადია ხილ-ბოსტნეულიც. ამასთან, საკრებულოს წევრს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ვაუჩერების გადაცემა მოხდეს არა მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, არამედ, მასიურად, ყველა აღსაზრდელზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საბავშვო ბაღებისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტი, რომელსაც 1 აპრილამდე ქონდათ ვადა, დასაწყობდა და გადაეცა სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს. უახლოეს დღეებში კვლავ აპირებენ იმ საკვები პროდუქტის გადაცემას, რომელთაც 1 მაისამდე აქვს ვარგისიანობის ვადა. მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის წინადადება მისაღებია.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** ასევე აღნიშნა, რომ პრემიერის განცხადებით აიკრძალა სამარშრუტო ტაქსებით გადაადგილება, რაც მისი აზრით, მუნიციპალიტეტში სოფლების მაცხოვრებლებს გარკვეულ დისკომფორტს და პრობლემებს შეუქმნის, რადგან ყველას არ ყავს საკუთარი ტრანსპორტი.

ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მიიღეს დავალება ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვის შესახებ, მაგრამ ამ ეტაპისთვის შეზღუდვები არ შეეხება საქალაქთაშორისო ტრანსპორტს. გარდა ამისა, შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც გადაუდებელ შემთხვევებში მოემსახურებიან მოსახლეობას, მაგრამ ფიზიკურად ყველა ოჯახს ვერ გაწვდებიან. ამის გათვალისწინებით, თითო სოფლიდან თითო მანქანამ მაინც უნდა იმოდროს. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, საკითხის შესახებ საქმის კურსში ჩააყენებს მთავრობას და შესაბამისი ზომები გატარდება. გარდა ამისა, მან თოვნიტ მიმართა დეპუტატებს, რომ მაქსიმალურად ჩაერთონ სამუშაო ჯგუფებში, რათა ყველამ ერთად აკონტროლოს და მართოს სიტუაციები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისთვის არ არის საგანგებო მდგომარეობა, ის, რაც ხდება ქვეყანასა და ზოგადად, მსოფლიოში, წარმოადგენს საშიშროებას. როგორც ცნობილია, აიკრძალა თავშეყრის ადგილები, ქელები და ქორწილები. ყოველივე ამას აკონტროლებს მერიის ზედამხედველობის სამსახური და თუკი სადმე ამ კუთხით იქნება რაიმე სახის დარღვევა, მისცემს გაფრთხილებას. რაც შეეხება დეზინფექციის ჩატარებას, სადაც ამის საჭიროება იყო, ყველგან გაკეთებულია. მუნიციპალიტეტის მერმა ასევე გასცა დავალება, რომ შეიწამლოს კორპუსის სადარბაზოები, რადგან ისინი ეპიდემიის გავრცელების ერთ-ერთ კერას წარმოადგენენ. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ შეხვედრა ქონდა ადგილობრივ მეწარმეებთან, რომელთა თქმითაც, ფასების მატება ადგილზე მათ მიერ თვითნებურად არ მომხდარა, არამედ ეს განაპირობა მომწოდებლების მიერ ფასების ზრდამ. მერის განცხადებით, ისინი გასულები იყვნენ მაღაზიებში და საწყობებში, სადაც ბევრ პროდუქტთან მიმართებაში თითქმის იგივე ფასებია, მატება ძირითადად შეეხება შაქარს. ადგილობრივ მეწარმეებს აქვთ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან

კონტაქტი და თუკი მომწოდებლების მიერ მოხდება თვითნებურად ფასების გაზრდა, მათ ზემდგომი ორგანოები რაღაც ფორმით გააკონტროლებენ. რაც შეეხება მარაგს, მაღაზიებში პროდუქტი საკმარისია. ამასთან, ერთ კვირაში მარაგი კიდევ შეივსება და მთავრობის დონეზეა დაპირება, რომ ამ მხრივ პრობლემა არ შეიქმნება. რაც შეეხება იზოლირებულ მოქალაქეებს, მუნიციპალიტეტში ამ დროისთვის 36 ადამიანია. რამდენიმე მოქალაქე მერიის შესაბამისი სამსახურისა და ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლებს არ დაემორჩილა, რის გამოც პოლიციის ძალით ისინი გადაყვანილები არიან ბათუმის ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც ყველანაირი პირობები აქვთ შექმნილი. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერმა რამდენიმე დღის წინ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს მისცა დავალება, რომ წინასწარ გაარკვიონ და იყვნენ ინფორმირებულები, თუკი რომელიმე ოჯახში ელოდებიან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამომსვლელებს, რათა დროულად მოხდეს მათთან მიმართებაში რეაგირება. ასეთი სიტუაციები მუნიციპალიტეტში ყველა დონეზე მაქსიმალურად კონტროლდება. აღსანიშნავია, რომ ეს იდეა მოიწონეს და აიტაცეს სხვა მუნიციპალიტეტებმა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ეპიდოლოგებს ურთიერთობა აქვს სასაზღვრო პოლიციასთან და მათგან ხდება დროული ინფორმირება. ასევე, ამ პროცესებში აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი მოსახლეობაც. მუნიციპალიტეტის მერმა ყურადღება გაამხვილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოსახლეობის მიერ აუცილებლად უნდა იქნას ისინი გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრის **კახაბერ ასკურავას** თქმით, არის იმის საშიშროება, რომ ქვეყანაში დაიწყება მეოთხეული გადაცემა და მაშინ დაინფიცირებულთა რაოდენობა გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, ამ შემთხვევაში სად და როგორ მოხდება ლანჩხუთელი მოქალაქეების გადანაწილება.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისთვის ჯერ-ჯერობით პანიკის საფუძველი არ არის, მაინც ყველანაირი სიტუაციისთვის და ყველა კუთხით მიდის მზადება. საუბარია ურეკისა და გრიგოლეთის სასტუმროებზე, ასევე ბათუმის ინფექციურ საავადმყოფოსთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სამი მარტიდან მუნიციპალიტეტის მიერ ხდებოდა ტრანსპორტის დეზინფექცია. რაც შეეხება უფასო სასადილოებს, მუნიციპალიტეტმა ჯერ კიდევ მანამდე დაიწყო ბენეფიციარებისთვის საკვების ადგილზე მიტანა, სანამ ქალაქ თბილისი გადავიდოდა მიტანის სერვისზე. ქალაქ ლანჩხუთში შექმნილია შვიდი ჯგუფი. ასევე, მოხალისეებიც დატრენინგდებიან, თუ საჭიროება იქნება, ექნებათ შესაბამისი სპეც. ტანსაცმელი. ამ სამუშაო ჯგუფებს ასევე დაევალებათ, აღრიცხონ მარტოხელა მოხუცები და საჭიროების შემთხვევაში-მედიკამენტები იქნება ეს თუ საკვები, მიუტანონ სახლებში. ამასთან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უზრუნველყოფს ჯგუფების საწვავით მომარაგებას, რათა მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევისას არ შეექმნათ პრობლემები. მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგად მუშაობს საპატრულო პოლიცია, სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც ფაქტიურად, 24 საათის განმავლობაში იყოფებიან კონტაქტზე, ასევე, დღის განმავლობაში რამდენჯერმე ხდება ურთიერთ შეხვედრა, რათა მაქსიმალურად მოხდეს მუნიციპალიტეტში სიტუაციის გაკონტროლება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის **ბესიკ კუპრაძის** თქმით, მთავრობის მიერ მართლაც რომ დროული და მიზანმიმართული მობილიზება ხორციელდება, რათა მაქსიმალურად კონტროლს ექვემდებარებოდეს ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია. მან თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა ექიმებს, ყველა მედპერსონალს, რომლებიც 24 საათის განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობენ და ემსახურებიან მოსახლეობას.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

